საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/150 “ 5 ” აგვისტო 2021 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნისთვის
სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის
დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის მიერ წარმოდგენილ იქნა საკითხი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის დანიშვნაზე თანხმობის მიღების თაობაზე. საბჭოს მდივანმა აღნიშნულ თანამდებობაზე დასანიშნად წარადგინა გიორგი კურცხალიას კანდიდატურა. დასაკავებელ თანამდებობასთან შესაბამისობის მიზნით წარდგენილ იქნა კანდიდატის ბიოგრაფია. გიორგი კურცხალიას აქვს არქიტექტურულ და სამშენებლო სექტორში მუშაობის 35-წლიანი გამოცდილება. საბჭოს მდივანმა დაახასიათა კანდიდატი როგორც პროფესიონალი და პასუხისმგებლობის მქონე პიროვნება.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანს მიეცეს თანხმობა საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საერთო სასამართლოების დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობაზე გიორგი კურცხალიას დანიშვნის თაობაზე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი